

სტუდენტებთან და
კურსდამთავრებულებთან
ურთიერთობისა და კარიერული
მხარდაჭერის განყოფილების 2021 წლის
საქმიანობის ანგარიში

შპს გურამ
თავართქილამის
სახელობის
თბილისის
სასწავლო
უნივერსიტეტი

საანგარიშო პერიოდში სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის განყოფილების მონაწილეობითა და ორგანიზებით განახორციელა შემდეგი აქტივობები:

სტუდენტური ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაეწია სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სტუმრობას და პრეზენტაციების, ჩატარდა ტრენინგები და შეხვედრები სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის:

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობას;

- გაგრძელდა ურთიერთთანამშრომლობა სამედიცინო კორპორაცია „ვექსთან“, რომლის ფარგლებში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები გაივლიან სტაჟირებას და ისარგებლებენ უფასო სტუდენტური ჯანდაცვის სადაზღვევო პაკეტით;

- ორგანიზება გაეწია სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის მე-14 ნაკადზე უნივერსიტეტის სტუდენტთა ინფორმირებას და რეგისტრაციას. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო სამართლის ფაკულტეტის რვა სტუდენტმა.

- მონაწილეობა მივიღეთ საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში-ხმის უფლებით;

- გაფორმდა ხელშეკრულება უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდის მწვრთნელთან;

- მონაწილეობა მივიღეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრაში, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია განვლილი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ. (შეხვედრას დაესწრო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი ქრისტინე არაბიძე)

- მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის მიერ დაბა ბაკურიანში არაფორმალური განათლების ფორმატით ორგანიზებულ გასვლით სამუშაო შეხვედრაში.

- ორგანიზება გაეწია სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის მე-15 ნაკადზე უნივერსიტეტის სტუდენტთა ინფორმირებას და რეგისტრაციას. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო სამართლის ფაკულტეტის სამმა სტუდენტმა.
- შეირჩა კანდიდატები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საერთაშორისო ტრენინგზე დასარეგისტრირებლად;
- ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს მიეწოდა ინფორმაცია ინგლისური ენის კურსების შესახებ, რომელსაც სრულად აფინანსებს კომპანია „bp საქართველოში“;
- სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს ეროვნული ბანკის კვლევითი ნაშრომების კონკურსში;
- მიეწოდათ ინფორმაცია ესეების კონკურსის შესახებ - თემაზე: „ონლაინ კომერციის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“;
- სტუდენტებს შესაძლებლობას ქონდათ გაეცლოთ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის დისტანციური სწავლების ზოგადი კურსი;
- გავავრცელეთ ინფორმაცია „თიბისი“ გუნდის და სს „სილქნეტის“ ვაკანსიების შესახებ;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის მიწოდებული იქნა ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის hr.ge მიერ მოწოდებული აქტიური ვაკანსიები.

ფაკულტეტებთან ერთად კოორდინაცია გაეწია და განხორციელდა სტუდენტური პროექტები და საქველმოქმედო აქციები

- ნაციონალური სისხლის ბანკის აქცია „გადაარჩინე სიცოცხლე“-14 ივნისი სისხლის უანგარო დონაციის საერთაშორისო დღე;
- მონაწილეობა მივიღეთ „თბილისის სტუდენტურ ფესტივალ 2021“-ში;

სპორტული აქტივობები

- საანგარიშო პერიოდში განახლდა ყოველწლიური ურთიერთობა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან, მათი ინიციატივით ტარდება სტუდენტური დღეები, სპორტული შეჯიბრებები გუნდურ და ინდივიდუალურ სახეობებში.

- ჩატარდა ზამთრის უნივერსიადა დაბა ბაკურიანში;
- მიმდინარე წელს გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდი უნივერსიადის გამარჯვებული გახდა და ა ლიგაში ასპარეზობის სტატუსი მოიპოვა.

უნივერსიტეტის საქმიანობის პრეზენტაცია

- უნივერსიტეტმა უმასპინძლა საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეს; დავიწყეთ ახალი პროექტი „გთუნის ელჩები,” რომლის ფარგლებშიც ვიმყოფებოდით თიანეთის, ქარელის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში. შემდგომშიც გაგრძელდება მსგავსი აქტივობები.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების პერიოდში აბიტურიენტებთან განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია. აბიტურიენტებს ვაწვდიდით ზოგად თუ კონკრეტულ ინფორმაციას უნივერსიტეტის საქმიანობის .

დასაქმების სტატისტიკა

- განხორციელდა კურსდამთავრებულთა ანკეტის შევსებას და სატელეფონო ინტერვიუები, რომლის საფუძველზეც დგინდება დასაქმების მაჩვენებელი.
- განახლდა კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზა .

გარდა ყოველივე ზემოთთქმულისა, განყოფილება აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.